განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ა(ა)ი.პ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება)

(ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის, ჭალატყე N35 საბავშვო ბაღი)

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| **თავმჯდომარე:** |
| ხარისხის ექსპერტი: სალომე აბდალაძე |
| **წევრები:** |
| კურიკულუმის ექსპერტი: მარეხი ნიკოლაძე |
| კვების დარგში ექსპერტი: გიორგი ხუციშვილი |
| სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მანანა ჭიჭინაძე |

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 230091414 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის, ჭალატყე, N35 საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქუჩა N11. |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარა, ჭალატყე |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |

| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
|---|---|
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | 25/06/2025, N 751829<br>(ცვლილება: 01/07/2025, N 795225) |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 2025 წლის 11-12 ივლისი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

**6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და | ადრეული განათლების | ქართული | | 40 |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განათლების პროგრამა | კურიკულუმი „თამაში“; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒<br>*(რეკომენდებული ბავშვების რაოდენობა -30)* |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ოთხკაციანმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა სკოლამდელი განათლების ხარისხის, კურიკულუმის, კვების და სანიტარიულ-ჰიგიენური მიმართულებების სპეციალისტებისგან, შეისწავლა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში, სადაც საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი, ასევე გაერთიანების წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. პროცესი ხასიათდებოდა ურთიერთპატივისცემით, კონსტრუქციული კომუნიკაციით და მიზნობრივი თანამშრომლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ჩაატარეს გასაუბრებები როგორც ადმინისტრაციის, ისე გაერთიანების წარმომადგენლებთან. შეფასების პროცესში დაფიქსირდა შეუსაბამობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებსა და დაწესებულების თვითშეფასებას შორის. ეს განსხვავებები ძირითადად გამოწვეული იყო სტანდარტების მოთხოვნების განსხვავებული ინტერპრეტაციითა და მათი განხორციელების პრაქტიკულ დონესთან შეუსაბამობით. ვიზიტისას დაფიქსირდა მიგნებები, რომლებიც შეჯამდა და არგუმენტირებული ფორმით მიეწოდა დაწესებულებას. შეფასებები ეფუძნებოდა დაკვირვებებს, დოკუმენტაციის ანალიზს, გასაუბრებებსა და მოქმედ კანონმდებლობას. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი ადმინისტრაციის მხრიდან მიღებული და გაზიარებული იქნა, რაც მიუთითებს საერთო ხედვაზე დაწესებულების განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის  შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის II სტანდარტის  შეფასების სქემა**[2]<br>(სკოლამდელი აღზრდისა და  განათლების პროგრამა)<br>(1.ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში". 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში") | | |
| **2.   კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი


1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

#### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „ჩვენ გვესმის, რომ ბავშვობა არის ღირებული პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომ მრავალფეროვან (ჰოლისტურ) განვითარებასთან ერთად გთავაზობთ სასიამოვნო და პოზიტიურ გამოცდილებებს. ჩვენი მისიაა, შევქმნათ, ინკლუზიური სასწავლო გარემო, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად თავდაჯერებულ და ემპათიურ ინდივიდებად, რომლებიც მზად არიან მიიღონ სამყარო. ჩვენი მისიაა ოჯახებთან და საზოგადოებასთან პარტნიორობით განვავითაროთ პატარები, თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით, ხელი შევუწყოთ სხვადასხვა ბაზისურ განვითარებას, სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას. ჩვენ უზრუნველვყოფთ სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას.“

წარმოდგენილი მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი და დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე, არის მიზანზე ორიენტირებული და ჟღერს ამაღელვებლად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, მისია იყოს მეტად ლაკონური და არ ითვალისწინებდეს საბავშვო ბაღის ვალდებულებებს, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს მის აღქმასა და კომუნიკაციას დაინტერესებული მხარეებისთვის. ლაკონურად და მკაფიოდ ფორმულირებული მისია ხელს უწყობს მის ეფექტიან ინტეგრირებას დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობასა და სტრატეგიულ მიმართულებებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

2. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები.

დაწესებულების ხედვაა: თემისა და ოჯახის ჩართულობის გაზრდა, ამით ბავშვების ჩამოყალიბება პასუხისმგებლიან მოქალაქეებად და ემპათიურ ინდივიდებად; 2029 წლისთვის ელექტრონული სისტემების განვითარების გზით, მშობელთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაზრდა; 2029 წლისთვის სრულად ეკომეგობრული სისტემის შექმნა. ინკლუზიური გარემოს შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ყველა ბავშვზე.

დაწესებულების ღირებულებებია: მხიარული მოკვლევა, ურთიერთობების განვითარება, ინდივიდუალობა და ინკლუზია, ცნობისმოყვარეობა და ინტერესი. წარმოდგენილი ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიის შინაარსიდან. მისიაში ასახული ძირითადი პრინციპები: ბავშვზე ორიენტირებულობა, ინკლუზია, თამაშზე დაფუძნებული სწავლება, ოჯახისა და თემის აქტიური ჩართულობა, თანხვედრაშია როგორც ხედვაში გაწერილ გრძელვადიან მიზნებთან, ისე ღირებულებებში განსაზღვრულ ყოველდღიურ პრაქტიკებთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

...............................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...............................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...............................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 30 აპრილის N258 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. თუმცა, აღნიშნული ბრძანება წინ უსწრებს ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიღებას, რომლის მე-4 და მე-5 მუხლები განსაზღვრავენ დაინტერესებული მხარეების სავალდებულო ჩართულობას მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. გარდა ამისა, წარმოდგენილ სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არიან მხოლოდ გაერთიანების წარმომადგენლები, რაც არ შეესაბამება რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობის შესახებ. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ფორმირება არ

განხორციელებულა დადგენილი ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით, რაც იწვევს შეუსაბამობას რეგულაციის მოთხოვნებსა და განხორციელებულ ქმედებებს შორის. დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სტრატეგიული დოკუმენტების დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავების პროცესს, წარმოდგენილი არ არის.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეთა ფართო ჩართულობა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში და სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება დამტკიცებული რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა

შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სასურველია, დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება და გაითვალისწინოს სტრატეგიული დაგეგმვის წესით (N294 ბრძანება, 2025 წლის 22 მაისი) განსაზღვრული დაინტერესებული მხარეების სრული ჩამონათვალი. ასევე, სასურველია, სამუშაო ჯგუფის შესახებ დამატებით გაიწეროს შესაბამისი ოქმი ან დოკუმენტი, სადაც იქნება აღნიშნული თითოეული წარმომადგენლის ჩართულობის ფორმა და როლი. ასევე, პროცესის გამჭვირვალობისთვის მიზანშეწონილია მათი ჩართულობა დადასტურდეს წერილობითი ფორმით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებისათვის საჭირო აქტივობებს, მათ შორისაა სამუშაო ჯგუფის შექმნა სტრატეგიული დაგეგმვის წესით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეების სრული ჩამონათვალით, თითოეული წარმომადგენლის ფორმისა და როლის განსაზღვრა სამუშაო ჯგუფის ოქმში, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით**. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისთვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას სხვადასხვა კომუნიკაციის არხის მეშვეობით (ელ. ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო შეხვედრები, ბეჭდვითი და ელექტრონული პლატფორმები). თუმცა შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დოკუმენტების გავრცელება აღნიშნული არხებით არ განხორციელებულა. არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მასალები საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი, არც სოციალური ქსელებით, არც

დაწესებულებების სივრცეში ფიზიკურად, არც ონლაინ შეხვედრებით. ინტერვიუების შედეგად და წარმოდგენილი სხდომის ჩანაწერით ირკვევა, რომ ინფორმაცია მიეწოდათ მხოლოდ დაწესებულებების დირექტორებსა და აღმზრდელებს, რაც ვერ აკმაყოფილებს რეგულაციით განსაზღვრულ ჩართულობის სტანდარტს.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დოკუმენტის (მისია, ხედვა, ღირებულებები) ფართო გავრცელება და გაზიარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან;

2.დაწესებულებამ მისია, ხედვა, ღირებულებები გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი რეგულაციით გათვალისწინებული საშუალებებით, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათზე წვდომა და რეალური ჩართულობის შესაძლებლობა.

რჩევა

სასურველია დოკუმენტების გასაჯაროება ერთდროულად რამდენიმე საშუალებით, 2, ან 3 ვარიანტი: ა) დაწესებულებების შენობებში ინფორმაციის ფიზიკური გამოკვრა; ბ) სოციალური ქსელის (Facebook გვერდი) საშუალებით პოსტების გამოქვეყნება; გ) მშობლების შეხვედრებზე (ვორქშოპებზე) მოკლე პრეზენტაციის ან ბეჭდვითი მასალების გავრცელება; დ) ელ. ფოსტის ან ელექტრონული პლატფორმების (Zoom, Teams) მეშვეობით გაგზავნა დაინტერესებული მხარეებისთვის. უმჯობესია გაზიარების ნებისმიერი აქტივობა დოკუმენტურად დამტკიცდეს (ფოტო, სკრინშოტი, სიები, შეხვედრის ოქმი ან ანგარიშები), რაც ადასტურებს გაზიარების ფაქტს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის მიზნით საჭირო აქტივობებს, მათ შორისაა სამუშაო ჯგუფის შექმნა, შემუშავებული დოკუმენტაციის გაზიარება დაინტერესებულ პირებთან დამტკიცებული რეგულაციის მიხედვით, დოკუმენტების გასაჯაროვება, შესრულების ვადები (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი;
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
3. მისია, ხედვა ღურებულებების სტრუქტურული ერთეულებისთვის გაცნობის შესახებ სხდომის ჩანაწერი.

4. 2025 წლის 30 აპრილის N258 ბრძანება „სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1.დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ფორმებსა და პერიოდულობას. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი, იდენტიფიცირებულია ჩართული ჯგუფები და განსაზღვრულია მათი ჩართულობის გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

**2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით სტრატეგიული გეგმა. თუმცა, შესაბამისობის გეგმაში გაწერილია შესაბამისი ვადები და აქტივობები, რომელთა მიხედვითაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უნდა დასრულდეს 2026 წლის 1 თებერვლამდე.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად.

რჩევა

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების სისტემური და დოკუმენტურად დაფიქსირებული ჩართულობა, ასევე გეგმის მოსარგებლე აუდიტორიებისთვის მის გასაგებად ფორმულირება და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ფორმით. (მაგ. შეხვედრები, ბეჭდვითი მასალები, ონლაინ პლატფორმები).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიულ გეგმასა და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია ვადები და კონკრეტული აქტივობები.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სტრატეგიულ გეგმასა და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და დაამტკიცოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია ვადები და კონკრეტული აქტივობები, თუმცა გეგმა არ ითვალისწინებს, თუ რა სტანდარტის მოთხოვნით გათვალისწინებული კომპონენტისგან ჩამოყალიბდება სამოქმედო გეგმა.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისრური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვროს აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნით სამოქმედო გეგმის შემუშავება.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავებას სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაზღვრულია საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები (12 თვე), პასუხისმგებელ პირები და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისი გეგმის შემუშავებას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. არსებული მექანიზმი ასახავს მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობას, რაც ოპტიმალურ

შესაძლებლობას ქმნის გეგმების დროული გადახედვისა და შეფასებისთვის. ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის ფორმა, პროცესის თანმიმდევრულობა და პასუხისმგებელი პირები.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა. მექანიზმი ითვალისწინებს აღნიშნული შედეგების გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით: დაწესებულების ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნების, საჯარო ღონისძიებების ორგანიზების, ელექტრონული ფოსტის გზით გაგზავნისა და ბეჭდვითი მასალების გამოყენების ფორმატით.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N294 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. შესაბამისობის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დადაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

(ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N 308. 29/05/2025). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - ნაწილი I (დანართი N4) და ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი II (დანართი N4).

- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

(ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N 308. 29/05/2025). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: სასკოლო მზაობის პროგრამა - აქტივობათა კრებული - I ნაწილი (დანართი N4) და სასკოლო მზაობის პროგრამა - აქტივობათა კრებული - II ნაწილი (დანართი N4) 29.05.2025).

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა მტკიცებულება ბრძანებაში ცვლილების შესახებ (N 446. 02/07/2025), რომლის თანახმად ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისათვის დამტკიცებული აქვს შერჩეული კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". დაწესებულებაში ვიზიტისას ვერ წარმოადგინეს მეთოდური სახელმძღვანელო „სასკოლო მზაობის პრობრამა „თამაში" (აღმზრდელის სახელმძღვანელო).

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება (N296; 22.05.2025), ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი"-ს დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევის, დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების წესი და პროცედურები აღნიშნულ წესში მიეთითა კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის და გაცნობის პროცედურები. თუმცა ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული ჯგუფის სახელობითად დამტკიცებული სია, ასევე ამ ჯგუფის მიერ კურიკულუმების შერჩევის პროცესის ამსახველი პირდაპირი დოკუმენტები, კერძოდ მტკიცებულბებეში ვერ ვხვდებით სამუშაო ჯგუფის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველ მასალებს ოქმებს, ფოტომასალას, ან სხვა მტკიცებულებას. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პერსონალი კურიკულუმის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ იყო ინფორმირებული და მათ მიეწოდათ შერჩეული კურიკულუმის დამტკიცებული ბრძანება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

მოხდეს კურიკულუმის შერჩევის პროცესის ფორმალიზება და დოკუმენტური დასაბუთება,ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად.

(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ უზრუნველყოს კურიკულუმის -სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"-ს დამტკიცების შესახებ ბრძანების დანართში მეთოდური სახელმძღვანელო „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" (აღმზრდელის სახელმძღვანელო) საგანმანათლებლო პერსონალისთვის გაცნობა და იმპლემენტაცია.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიანი პერიოდით. კერძოდ - „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაზიარების მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად უნდა მიეთითოს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის და გაცნობის პროცედურები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამის გეგმაში მითიებული აქტივობები უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში; განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას.
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.

კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი“ თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აქტივობები ინტერაქტიურია და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ კურიკულუმის მიხედვით აქტივობები იგეგმება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები. უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური ტემპით ჩართვის, გამოწვევების მიღებისა და წარმატების განცდის შესაძლებლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის დამტკიცების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (N296 ბრძანება; 22;05;2025). ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს კურიკულუმის გაზიარებას დაწესებულების პერსონალთან, მშობელბთან და თემთან/მუნიციპალიტეტთან, ასევე გაზიარება გათვალისწინებულია საკომუნიკაციო გეგმის წესით (N293 ბრძანება; 22.05.2025) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. თუმცა, არც გაერთიანების და მეთოდისტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე, ინტერვიუებში არ დასტურდება, რომ მოხდა კურიკულუმების გაზიარება დაწესებულების პერსონალთან.საკომუნიკაციო გეგმის თანახმად, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან

კურიკულუმის გაზიარება დაგეგმილია: სექტემბრის, დეკემბრის, თებერვლის და იცნისის თვეებში.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სავალდებულოა დაწესებულებამ განახორციელოს კურიკულუმის გაზიარება დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან მარეგულირებელ წესში გაწერილი პროცესის შესაბამისად.

რჩევა

სასურველია, მოხდეს პერსონალთან კურიკულუმების გაზიარების ფაქტი დადასტურდეს მეთოდისტის ანგარიშებით, ოქმით ან/და დამატებითი მტკიცებულების (ფოტო, სია, დასწრების ფორმა) შეგროვებით იმ შეხვედრების შესახებ, სადაც პერსონალმა კურიკულუმების შინაარსი და გამოყენების პრინციპები გაიზიარა და გააზიარა.

ასევე, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს კურიკულუმები ერთმანეთისაგან და მათ გაზიარების პროცესის შესახებ ინფორმაციის ასახვისას გამოიკვეთოს, რომ მოხდა როგორც ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"-ს, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"-ს გაზიარება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიანი პერიოდით. კერძოდ - „კურიკულუმის დამტკიცების, გაზიარების, შეფასებისა და გაზიარების მარეგულირებელი წესი" ითვალისწინებს კურიკულუმის გაზიარებას დაწესებულების პერსონალთან, მშობელბთან და თემთან/მუნიციპალიტეტთან, ასევე გაზიარება გათვალისწინებულია საკომუნიკაციო გეგმის წესით (N293 ბრძანება; 22.05.2025) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენლ შესაბამის გეგმაში მითითებულია შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრის გზა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი" - ბრძანება N296; 22.05.2025

……………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანება N296; 22.05.2025
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოალმდელია ღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმო „თამაში“ 2-დან 5- წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება N446; 02.07.2025
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,

შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.
4. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3.** **კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

#### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

**1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-N293; 22.05.2025. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს, დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, დაწესებულება შეხვედრებს გეგმავს სექტემბრის, დეკემბრის, თებერვლისა და მაისის თვეებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი"-ს დამტკიცების შესახებ და (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა" N307; 29.06.2025, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

„საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი"-ში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან .
თუმცა, „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი"-ში არ ჩანს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა წაახალისოს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში.

წახალისების მექანიზმი აისახოს შესაბამის მარეგულირებელ წესში.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვიანი პერიოდით. კერძოდ - დაწესებულებამ უნდა წაახალისოს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის

ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენლი შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N293 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) მატერიალური კორესპონდენცია; გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საჭიროების შემთხვევაში ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით აღმზრდელ-პედაგოგებისა და და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის მონაწილეობით იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით ასევე იყენებენ სატელეფონო ზარებს, დახურულ ჯგუფებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"- ბრძანება #297; 22.05.2025.
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი"-N293; 22.05.2025

3. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025
4. ვიზუალური დათვალიერების შედეგები
5. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

**1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სფეციფიკასთან დაკავშირებით. შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში. დაწესებულება შეხვედრებს გეგმავს სექტემბრის, დეკემბრის, თებერვლისა და მაისის თვეებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი (ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.), რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას. დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესის შემდგომ, შედეგების გაზიარება ხდება ინდივიდუალურად. ასევე, აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან დაეხმარებათ მას, უკეთ გააცნონ ოჯახს ბავშვის განვითარებაში გამოვლენილი პროგრესი, ინტერესები ან საჭიროებები და ერთად განსაზღვრონ შემდგომი მხარდაჭერის გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს *საკომუნიკაცია გეგმა* ((ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025) რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია ბაღის ღია და საჯარო კომუნიკაცია თემის წარმომადგენლებთან და თემში მოქმედ სერვისებთან (როგორიცაა: სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურისა და სპორტის ცენტრები). დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი ამ სტრუქტურების ჩართულობა ბაღის განვითარების პროცესში და კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში. აღნიშნული ადასტურებს, რომ ბაღი გეგმავს ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით სწავლებისა და აღზრდის პროცესის გამრავალფეროვნებასა და გაღრმავებას, რაც ემსახურება თემთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობას და საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე საჭიროებები ჯერ სრულად არ არის გაწერილი და გაანალიზებული, თუმცა დაწესებულების მეთოდისტი და აღმზრდელები გეგმავენ, რომ უკუკავშირის ფორმების საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასების სტრუქტურირებული მიდგომა.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება (ასევე გაწერილია მექანიზმში) დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, შეფასების პრაქტიკა დაიხვეწოს და მშობელთა/თემის წარმომადგენელთა უკუკავშირის საფუძველზე სისტემატურად აისახოს მარეგულირებელ დოკუმენტსა და გეგმებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და გაერთიანების მარეგულირებელი წესი“ - ბრძანება N296; 22.05.2025
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მმართველის 2025 წლის 29 მაისის #308-ე ბრძანებაში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოალმდელია ღზრდის დაწესებულებების მმართველის 2025 წლის 22 მაისის #291-ე ბრძანებაში „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“-ის ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5- წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული“ დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება N446; 02.07.2025
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“- ბრძანება #297; 22.05.2025.
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-N293; 22.05.2025
5. (ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების „საკომუნიკაციო გეგმა“ N307; 29.06.2025
6. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

#### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანოგრამა და საშტატო ნუსხა, სადაც ასახულია სტრუქტურული ერთეულები და კონკრეტული პოზიციები. ასევე წარმოდგენილია შინაგანაწესი და ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ფუნქციური ვალდებულებები და პოზიციებზე ურთიერთჩანაცვლების მექანიზმები. წარმოდგენილი საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს 4.2 კომპონენტში გაწერილ მოთხოვნებს — ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი პირი, მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში დანიშნულია შესაბამისი კადრები, მათ შორის ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის, პირადი საქმის წარმოებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცესებისთვის. დასაქმებული პერსონალი მოიცავს როგორც გაერთიანების, ისე საბავშვო ბაღის ბაზაზე დასაქმებულ თანამშრომლებს. გაერთიანების ბაზაზე მუშაობენ: მმართველი, მოადგილეები, საფინანსო განყოფილების სპეციალისტები, საქმისმწარმოებელი და ინკლუზიის საკითხების სპეციალისტი. საბავშვო ბაღის ბაზაზე: სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მუსიკის მასწავლებელი, მზარეული, 2 დარაჯი, 1 აღმზრდელის თანაშემწე, 1 პირველ ცვლაში მომუშავე აღმზრდელი და 1 მეორე ცვლის აღმზრდელი. სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტები პოზიციებისა და ფუნქციების მიხედვით შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რაოდენობრივად არ შეესაბამება როგორც კანონმდებლობის მოთხოვნებს, ისე დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიას. კერძოდ, განსაზღვრულია 2 ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა პროგრამის მიხედვით შეადგენს 40 ბავშვს, თუმცა ჯგუფში აღმზრდელის რაოდენობა არის მხოლოდ 1, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან (3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში ყოველ 15 ბავშვზე უნდა იყოს ერთი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, ხოლო 2-დან 3 წლამდე ასაკში – ყოველ 13 ბავშვზე ერთი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი). გარდა ამისა, დაწესებულებაში არ არის დასაქმებული ინდივიდუალური საჭიროებების სპეციალისტები, როგორიცაა ფსიქოლოგი, ლოგოპედი და სხვა, რაც

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ხელს უშლის თითოეული ბავშვის განვითარებაზე მორგებული მხარდაჭერის სისტემის ფორმირებას და ინდიკატორის სრულფასოვნად დაკმაყოფილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსის რაოდენობრივი შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით.
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თითოეული ბავშვის განვითარებაზე მორგებული მხარდაჭერის სისტემის არსებობის მიზნით.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს საკადრო ცვლილებებისთვის საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობრივი შევსებისას ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები დეტალურად განსაზღვრულია შემდეგ დოკუმენტებში: შინაგანაწესი, შრომითი ხელშეკრულება, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაო ღწერილობის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტაცია ასახავს თითოეული თანამშრომლის ფუნქციურ ვალდებულებებს — ვინ, როდის და რას აკეთებს, აგრეთვე ვისთან არის დაქვემდებარებაში ან ანგარიშვალდებული. გარდა ამისა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით — №8 (2023 წლის 26 აპრილი) „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის

ნორმების დამტკიცების შესახებ“ №7 (2023 წლის 26 აპრილი) „პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია პერსონალის ქცევისა და ეთიკის ნორმები, პროფესიული სტანდარტები და სამსახურებრივი ინსტრუქციები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების რეგულაციებად განსაზღვრულია შემდეგი აქტები: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის დადგენილება №6 – „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის დადგენილება №7 – „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №298 ბრძანება – „პერსონალის მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, და 2025 წლის 2 ივლისის №448 ბრძანება – „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს, როგორც დაწესებულების დირექტორის, ისე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის მართვის დოკუმენტის მე-11 მუხლი ითვალისწინებს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ კონკრეტული პოზიციებისთვის დამატებითი

საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესაძლებლობას, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული მოთხოვნების დამადასტურებელი ბრძანება. პერსონალური საქმეებისა და თვითშეფასების მიმოხილვის შედეგად დგინდება, რომ ყველა თანამშრომელი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პერსონალი დასაქმებულია სამ წელზე მეტი ვადით, რაც იწვევს ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით მოქმედებას, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია მათი დასაქმების შემდეგ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია პერსონალის კვალიფიკაციის შიდა მონიტორინგის სისტემატური განხორციელება – შესაბამისობის მიზნით; სამოქმედო გეგმის შემუშავება იმ თანამშრომლების გადამზადებისთვის, რომლებიც სრულად არ აკმაყოფილებენ განახლებულ მოთხოვნებს.

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს ცალკე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა პოზიციისთვის (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მზარეული, დამლაგებელი და სხვა) განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნები უნდა მოიცავდეს განათლებასთან, კვალიფიკაციასთან, სამუშაო გამოცდილებასთან და საჭირო უნარებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. დოკუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს რეგულაციების სისტემურ დაცვას, ახალი თანამშრომლების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას და უკვე დასაქმებული პერსონალის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებასა და დაგეგმვას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომლებს არ აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც ასევე არ დადასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით/გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტებით. აღნიშნული ხარვეზი გაწერილია შესაბამისობის გეგმაში, რომლის მიხედვითაც ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება 2025 წლის 15 სექტემბრამდე, თუმცა შესაბამისობის გეგმა არ მოიცავს შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილ ყველა საჭირო აქტივობას. კერძოდ, გათვალისწინებულია მხოლოდ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში საკითხის ასახვა, ხოლო გადამზადებისთვის საჭირო ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიანი გეგმა

შეიძლება მოიცავდეს ყველა საჭირო ღონისძიებასა და ვადებს, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა არ პასუხობს განსაზღვრულ ვადებში სტანდართან შესაბამისობაში მოყვანისთვის საჭირო ღონისძიებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა განაახლოს შესაბამისობის გეგმა ისე, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ყველა საჭირო აქტივობა, ვადები და პასუხისმგებელი პირები, პირველადი დახმარების ცოდნისა და უნარების უზრუნველსაყოფად თანამშრომლებში, ისე, რომ შესაბამისობის გეგმა არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკითხის ერთწლიან გეგმაში ასახვით, არამედ სრულად მოიცავდეს სამოქმედო ნაბიჯებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდიკატორის დაკმაყოფილებას განსაზღვრულ ვადაში.

რჩევა

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პერსონალის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციით უზრუნველყოფას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, 2023 წლის 29 მაისის N263 ბრძანება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესის შესახებ, ასევე თავად შინაგანაწესი და შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები. აღნიშნული დოკუმენტაცია განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა: პროფესიული განვითარება, სამუშაოს ხარისხის მართვა,

მოტივაციის ამაღლება, ადაპტაციის პროცესები და სხვა. ასევე შემუშავებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რაც ხელს უწყობს როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას. ორგანოგრამა ასახავს სტრუქტურულ იერარქიასა და დაქვემდებარებას, ხოლო შინაგანაწესი მოიცავს შრომითი ურთიერთობების მთავარ კომპონენტებს: სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, შრომითი ხელშეკრულებების დადებისა და შეწყვეტის წესს, შვებულებების მართვას შრომის კოდექსისა და დაწესებულების მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების პირობებს, სამუშაო და დასვენების დროს, სადაც განსაზღვრულია 5-დღიანი, 40-საათიანი სამუშაო კვირა და 8-საათიანი სამუშაო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ხოლო სამუშაო დღის განმავლობაში გათვალისწინებულია 1-საათიანი შესვენება; დარაჯის შემთხვევაში გათვალისწინებულია ცვლაში მუშაობა, სადაც განსაზღვრულია 15-საათიანი სამუშაო რეჟიმი, ასევე გათვალისწინებულია, რომ სამუშაო დღეებსა და ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა არ იყოს 12 საათზე ნაკლები, რაც სრულად ასახავს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და სამუშაო დროის თანხვედრას. დოკუმენტაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჭიროების შემთხვევაში მისი გადახედვა და ცვლილების შეტანა შესაძლებელია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

### 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელის ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრას; ვიზიტისას დადასტურდა, რომ აღნიშნული საკითხი

შესრულებულია და წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება, სადაც ასახულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა, თუმცა არ მოიცავს არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს. ხელშეკრულების მიხედვით დღის განმავლობაში მხოლოდ 1 არასაკონტაქტო საათია გათვალისწინებული, რაც ვერ უზრუნველყოფს გონივრულ სამუშაო დაგეგმვას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს აღმზრდელის ხელშეკრულებებში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების გათვალისწინება.

რჩევა

სასურველია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების დღის განმავლობაში რეალისტური და მიზნობრივი გადანაწილება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული საქმიანობის ეფექტიანობას;

არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებად შეიძლება განისაზღვროს: ინდივიდუალური განვითარების ჩანაწერების მომზადება და განახლება; დოკუმენტების ადმინისტრირება; გუნდის შიდა შეხვედრებსა და დაგეგმვებში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვა და რესურსების მომზადება; პროფესიულ გადამზადებასა და თვითგანვითარებაში მონაწილეობა და სხვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს აღმზრდელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად, შერჩევის პროცედურები არადისკრიმინაციულია და მიზნად ისახავს სუბიექტური გადაწყვეტილებების მინიმიზაციას. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების შერჩევასა და დანიშვნას. პოზიციების ვაკანსიები ფორმირდება სამუშაო აღწერილობების და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ შერჩევის პროცესი არ არის დეტალურად გაწერილი ისე, რომ სრულად უზრუნველყოს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპები. დასაქმება კონკრეტულ პოზიციებზე ხორციელდება გაერთიანების მმართველის მიერ პირდაპირი დანიშვნის ფორმით, ხოლო პროცედურები დეტალურად არ არის გაწერილი (მაგ., შერჩევის ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები) რაც ზღუდავს ობიექტური და გამჭვირვალე შერჩევის შესაძლებლობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების დეტალურად გაწერა (მაგ., შერჩევის ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები), რაც გააუმჯობესებს პროცესის სტანდარტიზებას და ხელს შეუწყობს ორგანიზაციული გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხის გაზრდას.

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებში ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ცვლილებებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმი ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მიზნით სამუშაო გარემოში, კერძოდ, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტს შესაბამისად, ახალი თანამშრომელი იღებს სრულ ინფორმაციას გაერთიანების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, კოლეგებისა და მიზნების შესახებ. ასევე ეცნობა საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ხელმისაწვდომობის წესებს, შინაგანაწესს, თავისი პოზიციის სამუშაო აღწერილობას, უსაფრთხოების წესებსა და ადმინისტრაციულ პროცედურებს. უზრუნველყოფილია მენტორინგის სისტემა და საჭიროების შემთხვევაში – შესაბამისი კონსულტაციები. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობაზე, გუნდურ მუშაობასა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა. აღნიშნული კულტურა აისახება სხვადასხვა მექანიზმში, რომლებიც პერსონალის ჩართულობას უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობაში. დაწესებულებას გააჩნია აღწერილი დამხმარე პროცესები, მათ შორის ადამიანური რესურსების მართვა, რომლის მართვაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელი პირი. პერსონალის ქცევის და ეთიკის სტანდარტები განსაზღვრულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით. დოკუმენტში გათვალისწინებულია, რომ თანამშრომლებს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს კოლეგიალურობას, პატივისცემასა და ნდობას. გარდა ამისა, პერსონალის პროფესიული სტანდარტები ემყარება

გუნდური მუშაობის პრინციპებს. თანამშრომლობის კულტურა გამოიხატება პერსონალის აქტიურ მონაწილეობაში ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, როგორიცაა გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება, დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირება. ეს ყველაფერი ადასტურებს თანამშრომელთა პროფესიულ ჩართულობასა და მათ ერთიანობაზე ორიენტირებულ მუშაობას. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადამიანური რესურსების მართვა ჩამოყალიბებულია როგორც სტრუქტურირებული და სისტემური პროცესი, რომელიც მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების ყველა ძირითად ეტაპს — საჭიროებების იდენტიფიცირებას, საქმიანობის შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს როგორც შესრულებული სამუშაოს შეფასების, ისე საჭიროებათა მოკვლევის მექანიზმებს, რაც ემსახურება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენას. აღნიშნული პროცესები

განსაზღვრულია „პროცესების აღმწერებსა და ხარისხის უზრუნველყოფის წესში“ (დამტკიცებული ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №304 ბრძანებით), სადაც გაწერილია შეფასების პროცესის ეტაპები, გამოყენებული მეთოდები, ობიექტები და პასუხისმგებელი პირები. შეფასებას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის პოზიცია გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმაში. დაწესებულებას ასევე გააჩნია პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმა, რაც თეორიულად წარმოადგენს საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველს. თუმცა, აღნიშნული ფორმა არ მოიცავს საჭიროებების იდენტიფიცირების შესაბამის სექციას ან მექანიზმს, რის გამოც შეუძლებელია შეფასების შედეგების გამოყენება მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის. შესაბამისად, მიუხედავად სისტემური მიდგომისა და დოკუმენტური ჩარჩოს არსებობისა, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

შემუშავდეს პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს საჭიროებების იდენტიფიცირების კომპონენტს, რათა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას პერსონალის განვითარების მიზნობრივი დაგეგმვისთვის.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს: პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმის შემუშავებისთვის საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით**. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა წარმოდგენილია დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმით, როგორც სტრუქტურირებული და სისტემური პროცესი, რომელიც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების ყველა ძირითად

ეტაპს — საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას. პერსონალის განვითარების პროცესი უნდა განხორციელდეს იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. აღნიშნული ასახულია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N304 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში — „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება დეტალურად არის გაწერილი ასევე 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში — „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც ითვალისწინებს განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, შესაბამისი ბიუჯეტის გათვალისწინებას და პროფესიული განვითარების გეგმაში შესაბამისი აქტივობების განსაზღვრას. თუმცა, არ იძებნება პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების დოკუმენტურად შემუშავებული ფორმა და ამ საჭიროებების საფუძველზე შედგენილი პერსონალის განვითარების გეგმა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

შემუშავდეს პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს პერსონალის განვითარების გეგმის შესრულებისთვის საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით**. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში გათვალისწინებულია პერსონალის ინიციატივების წახალისებაც, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას და აქტიურ მონაწილეობას პროფესიული ზრდის მიმართულებით. ინიციატივა შესაძლოა გამოიკვეთოს საჭიროებების კვლევის ეტაპზე ან სხვა ფორმით, თანამშრომელთა მხრიდან. ინიციატივების მიღებისა და წახალისების მექანიზმი მოიცავს როგორც პირისპირ შეხვედრებს საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე თანამშრომელთა სტიმულირებას სხვადასხვა

ტრენინგ-კურსებში მონაწილეობით. აღნიშნული პროცესის პრაქტიკული განხორციელება დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

შესაძლებელია, თანამშრომლებმა წარადგინონ ინიციატივები ან საჭიროებები ანონიმურად ან სახელობითად; დადგინდეს ინიციატივების კვირეული/თვე; მოხდეს თანამშრომელთა ჩართვა სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც მუშაობენ განვითარების მიმართულებებზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბავშვო ბაღის ორგანოგრამა;
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი;
3. 2023 წლის 29 მაისის N263 ბრძანება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესის შესახებ“, შინაგანაწესი;
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“-ის დამტკიცების შესახებ N304 ბრძანება;
5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N295 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი — „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“
6. შესაბამისობის გეგმა;
7.თანამშრომელთა შეფასების ფორმა;
8.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის "ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/ა მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" №6 დადგენილება;

9. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის "ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" №7 დადგენილება;
10. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" №8 დადგენილება.
11. საშტატო ნუსხა;
12.შრომითი ხელშეკრულება.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განსაზღვრულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც ასახულია ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N304 ბრძანებით დამტკიცებულ პროცესების აღმწერებში და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-4 მუხლში. დოკუმენტი მოიცავს ყველა საკვანძო მიმართულებას, მათ შორის: სტრატეგიული დაგეგმარება, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვა, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, დოკუმენტბრუნვა, სსსმ ბავშვების მომსახურება, უსაფრთხოების დაცვა, სანიტარიულ-ჰიგიენური და კვების პროცესების მართვა, სხვა დამატებითი სერვისები. ჩამონათვალი დეტალურად გამოყოფს მმართველობით და დამხმარე პროცესებს, რაც ქმნის საფუძველს სისტემური და ეფექტიანი მართვისთვის. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პროცესული მიდგომა – განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები, ეტაპები და ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N304 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს. ეს პროცესი ეფუძნება ციკლურ მიდგომას – დაგეგმე, განახორციელე, გადახედე, გადახედე/გააუმჯობესე, რაც შეესაბამება სისტემური ხარისხის მართვის პრინციპებს. გარდა ამისა, დოკუმენტში გაწერილია რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების და შესაბამისი რეაგირების გეგმების შემუშავების მექანიზმი, რაც ზრდის პროცესების გამჭვირვალობას და უწყობს ხელს მიზნობრივი გაუმჯობესების სისტემურ განვითარებას. დოკუმენტს თან ერთვის შესაბამისი პროცესების აღმწერი მასალაც. თუმცა, თვითშეფასების კითხვარში მითითებულია, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – პოზიცია, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია სტანდარტის სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად. აღნიშნული ხარვეზი განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმაში, რაც ადასტურებს დაწესებულების მიდგომას გაუმჯობესების მიმართულებით. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება დადგენილ ვადებში.

რჩევა

სასურველის, დაწესებულებამ განამტკიცოს მენეჯერის ფუნქციური ჩართულობა სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე, განსაკუთრებით თვითშეფასების, რისკების მართვისა და მიზნობრივი ცვლილებების დანერგვის პროცესში; გააფორმოს მენეჯერის პასუხისმგებლობები დოკუმენტურად (შესაბამისი ბრძანებით ან სამსახურებრივი ინსტრუქციით)

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N299 ბრძანებით დამტკიცებული წესით, სადაც პროცედურები დეტალურად არის განსაზღვრული. გათვალისწინებულია: ჩარიცხვა-ამორიცხვის, რეგისტრაციის გაუქმების, ჯგუფების დაკომპლექტების, სავალდებულო დოკუმენტების ნუსხის შესახებ წესები. ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი ხორციელდება მატერიალურად განცხადებების გამოყენების გზით, ასევე განსაზღვრულია ელექტრონული ფორმატიც, რომელიც ამ ეტაპზე პრაქტიკაში არ არის დანერგილი. შევსებული განაცხადების მიღება ხდება ფიზიკურად, მშობლის მიერ დაწესებულებაში მისვლით. შემოსული განცხადებები ერთიანად გროვდება და ამის შემდეგ იგზავნება გაერთიანებაში რეგისტრაციის მიზნით. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, ასევე ფორმდება ხელშეკრულება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. თუმცა, დოკუმენტში არ არის განსაზღვრული მშობლის განცხადებაზე რეაგირების კონკრეტული ვადა, რაც პროცედურის ეფექტიანობას გარკვეულწილად ზღუდავს. მართალია, პროცესი ფაქტობრივად მიმდინარეობს და რეგისტრაციის მექანიზმი აქტიურია, მაგრამ რეაგირების ვადების არქონა ართულებს მომსახურების სტანდარტის შეფასებასა და მომხმარებლის მოლოდინების მართვას. ასევე, წინამდებარე წესი ითვალისწინებს 20 სასწავლო დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ბავშის ამორიცხვას, (შინაგანაწესის მიხედვით კი განსაზღვრულია 10 დღე) თუმცა ამორიცხვამდე დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული.

**წინამდებარე მექანიზმზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, პროცესის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად შემდეგი ასპექტების გაწერა: განცხადებაზე რეაგირების ვადა – რეკომენდებულია, დადგინდეს გონივრული ვადა (მაგალითად, 5 სამუშაო დღე), რათა მომხმარებელმა იცოდეს, რა დროში შეიძლება ელოდოს პასუხს და რეგისტრაციის პროცესიც დროულად წარმართოს. ბავშვის ამორიცხვის პროცესის წინასწარი ეტაპები – მიუხედავად იმისა, რომ წესით გათვალისწინებულია 20 სასწავლო დღის არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში ბავშვის ამორიცხვა, ხოლო შინაგანაწესით - 10 დღე, მიზანშეწონილია, ვადები მოვიდეს შესაბამისობაში და ამ გადაწყვეტილებამდე დაიგეგმოს გარკვეული საშუალებები მშობლის ინფორმირებისა და შეთანხმების მიღწევის მიზნით (მაგალითად, წინასწარი გაფრთხილება, განმარტებითი ბარათი ან მოკლე შეხვედრა), რაც გააუმჯობესებს მშობლებთან კომუნიკაციას და შეამცირებს კონფლიქტის რისკებს, ასევე სასურველია რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების პირადი საქმეების წარმოება მიმდინარეობს ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N299 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი მოიცავს ბავშვის იდენტიფიკაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სპეციალურ საჭიროებებთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ინფორმაციას, ასევე მშობლის თანხმობებს შესაბამის რეგულირებულ საკითხებზე. აღნიშნული რეგულაცია შეესაბამება პირადი საქმის წარმოების არსებულ სტანდარტებს და ქმნის საფუძველს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება რეგულირდება ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. დადგენილი ჩამონათვალი მოიცავს პირად, საკვალიფიკაციო, შრომით და ადმინისტრაციულ დოკუმენტაციას, მათ შორის: იდენტიფიკაციისა და საკონტაქტო მონაცემებს, განათლების, კვალიფიკაციისა და პოზიციის შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, შრომითი ხელშეკრულებებისა და ბრძანებების ასლებს, შინაგანაწესის გაცნობაზე ხელწერილს და სხვა, თუმცა არ არის გათვალისწინებული შემდეგი სავალდებულო ცნობა: სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, პრაქტიკაში სრულად არ ხდება

დადგენილი სტრუქტურის დაცვა. კერძოდ, რიგ შემთხვევაში პირად საქმეებში არ იძებნება სავალდებულო დოკუმენტები: ფოტოსურათი, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობები, ხელშეკრულებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში განხორციელდეს ცვლილება, რათა პერსონალის პირადი საქმეების წარმოება სრულად პასუხობდეს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.
2. პირადი საქმეების სტრუქტურა იყოს რეგულაციის შესაბამისი.

რჩევა

სასურველია შეიმუშაოს და დაინერგოს შიდა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მოიცავს, მაგალითად, წელიწადში ერთხელ ყველა პირადი საქმის გადახედვას და აღწერას. ეს საშუალებას მისცემს დროულად გამოვლინდეს დოკუმენტური ხარვეზები და უზრუნველყოს მათი დროული გამოსწორება. აღნიშნულთან ერთად, შესაძლოა განისაზღვროს მზარეულების შემთხვევაში აუცილებელი დოკუმენტი — ცნობა ტუბერკულოზის, ბაქტერიებისა და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ.

შესაძლოა განისაზღვროს მზარეულების შემთხვევაში აუცილებელი დოკუმენტი — ცნობა ტუბერკულიოზის, ბაქტერიებისა და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ და პირადი საქმის ჩამონათვალი შესაბამისობაში მოვიდეს ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 22 მაისის №298 ბრძანების დანართის ჩანაწერთან, სადაც მზარეული ვალდებულია ჯანმრთელობის ცნობა წარმოადგინოს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში (ჭიების მატარებელზე, ბაქტერიულ, კანის და ინფექციურ დაავადებებზე).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს პირადი საქმის წარმოების შიდა რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისად ფორმირების და პირადი საქმის სტრუქტურის მოწესრიგებისთვის საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის

განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N298 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი;
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N299 ბრძანებით დამტკიცებული წესი;
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“-ის დამტკიცების შესახებ N304 ბრძანება;
4. განცხადების ფორმა ბავშვის ჩარიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით;
5. განცხადების ფორმა ბავშვის ამორიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით;
6. პერსონალის პირადი საქმეები;
7. შესაბამისობის გეგმა;
8. „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაოს აღწერილობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 02 ივლისის №448 ბრძანება.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: |
|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** |

| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |
|---|---|---|---|

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია – კერძოდ, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №295 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების წესი, რომლის საფუძველზეც ხდება გადაუდებელი დახმარების გაწევა. გამოყოფილია სამედიცინო სივრცე, თუმცა დასაქმებული არ არის ექთანი. დაწესებულებას არ გააჩნია: უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს საევაკუაციო გეგმის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და მდგრადობის დასკვნის შემუშავებისა და შეთანხმების საჭიროებას, რაც რელევანტურია სტანდარტის მოთხოვნებთან. რაც შეეხება ექთნის დასაქმებას, შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები მიემართება ხარისხის მართვის მენეჯერის დასაქმებას, რაც არარელევანტურია ექთანთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

1. წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში: შემუშავდეს და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთნხმდეს საევაკუაციო და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; უზრუნველყოფილი იქნას შენობა-ნაგებობის მდგრადობის ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნის მოპოვება.
2. დაკორექტირდეს შესაბამისობის გეგმა ისე, რომ გათვალისწინებული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები მიემართებოდეს ექთნის დასაქმებას.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ორგანიზება გაუწიოს პერსონალის გადამზადებას პირველადი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს ექთნის დასაქმებისთვის საჭირო აქტივობებს, შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ გააჩნია მწვანე საფარის (მცენარეების) აღრიცხვის დოკუმენტაცია, სადაც განისაზღვრება ტერიტორიაზე არსებული მცენარეების სახეობები და მათი პოტენციური საფრთხეები ბავშვებისა და პერსონალისთვის. ვიზუალური დაკვირვებით, ეზოში მდებარე მცენარეებს შორის აღინიშნება წვეტიანი, ეკლიანი და ნაყოფიანი ჯიშები, რომლებიც არ არიან სათანადოდ იზოლირებული ან დაცული, რაც ზრდის ფიზიკური დაზიანების რისკს. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: ეზოში არსებული მცენარეების ინვენტარიზაცია, უსაფრთხოების კუთხით შეფასება და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა; რისკის შემცველი მცენარეების იზოლაცია ან ტერიტორიის რეკრეაციული ზონისთვის ადაპტირება.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვისა და საფრთხის აღმოფხვრის მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას არ არის უზრუნველყოფილი ბავშვების უსაფრთხოება, რადგან არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების წესები, გადაადგილებისას ბავშვთა დათვლის პროცედურები და სხვა აუცილებელი ღონისძიებები. კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანა ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით. გაერთიანებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ნებართვის განაცხადი, რომელიც ინტეგრირებულია ბავშვის საერთო ანკეტის ფორმაში, თუმცა ის ზოგადია და კეთდება ერთჯერადად. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვების უსაფრთხოება დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლისას

### რჩევა

სასურველია დადგინდეს პასუხისმგებელი პირები, განისაზღვროს ბავშვთა დათვლის პროცედურები და აღიწეროს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების წესები.

სასურველია დაწესებულებამ განაახლოს ნებართვის ფორმა ისე, რომ თითოეული გასვლითი აქტივობისთვის მშობელს მიეცეს შესაძლებლობა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე მიანიჭოს თანხმობა. ასეთი მიდგომა გააძლიერებს როგორც ბავშვის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმს, ისე მშობლის ინფორმირებულობის ხარისხს.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით რეგულაციების შემუშავებას, საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების კეთილდღეობასა და კომფორტს. თითოეულ ჯგუფში ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე გამოკრულია ვიზუალური დღის განრიგი, რომელიც მარტივად აღსაქმელია და უზრუნველყოფს აქტივობების წინასწარ პროგნოზირებას,. ცენტრებს გააჩნია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები, ხოლო კედლის პორთფოლიო ორგანიზებულია ისე, რომ ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ უსაფრთხოებას ჯგუფურ სივრცეში. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, რომ ჯგუფებში წარმოდგენილი ვიზუალური დღის განრიგი იყოს უფრო მეტად ორგანიზებული, ხოლო სასწავლო სივრცე უზრუნველყოფდეს ბავშვებისთვის უფრო მეტად პროგნოზირებად გარემოს. შესაძლებელია, მასალების შინაარსის რეგულარული გადახედვა ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიზანშეწონილია, ბავშვების ჩართვა დღის განრიგის გაცნობისა და მისი ელემენტების შექმნის პროცესში, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს დღის განრიგის ვიზუალიზაციას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართ თანამშრომელთა ცნობიერება არ დასტურდება დაწესებულების მოქმედი რეგულაციებით, დოკუმენტირებული პრაქტიკით ან შესაბამისი ჩანაწერებით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს სიტყვიერი თუ ქცევითი მიდგომა ბავშვთა უფლებების პატივისცემის მიმართულებით, მისი ფორმალიზებული ასახვა დოკუმენტურ მასალებში არ იკვეთება, რაც ხელს უშლის აღნიშნული კომპონენტის შეფასებას როგორც სისტემურად უზრუნველყოფილს. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპების ინტეგრირება შიდა რეგულაციებში, გაწეროს კონკრეტული მიდგომები და უზრუნველყოს მათი პრაქტიკაში დანერგვა.

რჩევა

სასურველია შესაბამისი ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება პერსონალისათვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს ბავშვის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი საქმიანობის პროცესში დაცვის შესაბამისი რეგულაციების დამკვიდრების მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები რეგულირებულია. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N302 ბრძანებით „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ, იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი — ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის, ჭალატყის №35 საბავშვო ბაღის მმართველი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება ამ

პასუხისმგებელი პირის შესაბამისი გადამზადება. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურებს, კონფიდენციალურობის დაცვის და დოკუმენტაციის წარმოების წესებს. წესში დეტალურად არის გაწერილი ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, რეაგირების საფუძვლები და მექანიზმები, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და შესაბამისი დოკუმენტის — „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის" — შევსების წესი.

**შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია პასუხისმგებელი პირის (და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი თანამშრომლების) გადამზადება ბავშვთა დაცვის მიმართულებით. გადამზადება უნდა მოიცავდეს: ძალადობის ფორმების იდენტიფიცირების უნარების გაძლიერებას; რეაგირების პროცედურების პრაქტიკულ ცოდნას; კონფიდენციალურობის დაცვისა და დოკუმენტაციის სწორად წარმოების უნარებს; ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების სტრატეგიებს. გადამზადება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სერტიფიცირებული ორგანიზაციების ან სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობით და უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერტიფიკატით

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პრაქტიკაში გააჩნია ადაპტაციისა და ტრანზიციის ხელშემწყობი გამოცდილება, რაც დასტურდება მხოლოდ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. კერძოდ, პერსონალის აღწერით, ადაპტაციის პროცესი ხორციელდება სასწავლო პროცესის პირველივე დღიდან ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით. ტრანზიციის ეტაპზე გამოიყენება ვიზუალური და ხმოვანი მინიშნებები (მათ შორის, ლექსი, მუსიკა, წამღერება, ზარი), რაც ხელს უწყობს ბავშვის ეტაპობრივ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. თუმცა, აღნიშნული პრაქტიკა არ არის ფორმალიზებული და დაწესებულებას არ გააჩნია დაწერილი მექანიზმი ან რეგულაცია. აღნიშნული ქმნის

რისკს, რომ პროცესი არ იქნება ერთგვაროვანი და სტანდარტიზებული სხვადასხვა თანამშრომლის ან ჯგუფის შემთხვევაში. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციისა და ტრანზიციის ეტაპებს, გამოყენებულ მეთოდებს, პასუხისმგებელ პირებს და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის მექანიზმებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს ბავშვის ადაპტაციისა და ტრანზიციის შესაბამისი რეგულაციების შემუშავების მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, თუმცა არსებობს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფიდენცილურობის დაცვის მექანიზმებს. კერძოდ: მოქმედებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №8 დადგენილება, რომელიც არეგულირებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის ქცევის და ეთიკის ნორმებს: პერსონალი, აღსაზრდელთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფოტო/ვიდეომასალის ან ნამუშევრების გასაჯაროების შემთხვევაში (განსაკუთრებით ინტერნეტსივრცეში), მშობლის თანხმობის საფუძველზე მოქმედებს და ხელმძღვანელობს ბავშვის საუკეთესო ინტერესით; დაცულია კონფიდენციალობა – პერსონალი არ განიხილავს აღსაზრდელის ან მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციას კოლეგებთან ან სხვა პირებთან. დაწესებულებაში 2024 წლის 29 მაისის N458 ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის; პერსონალისა და აღსაზრდელების პირადი საქმეები დაცულია; ბავშვის მიმართ ძალადობის ეჭვის კონკრეტულ შემთხვევებზე მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი", რომელიც არეგულირებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის წესებს. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია პერსონალს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციების შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების, შენახვისა და წვდომის წესებს; შეიმუშაოს თანხმობის ფორმები ინფორმაციის დამუშავების მიზნით — როგორც პერსონალის, ასევე ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1."ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი"-ს დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22 მაისის N303 ბრძანება;
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N295 ბრძანება პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ;
3. ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი;
4. დღის განრიგი;
5. წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის შესახებ;
6. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N302 ბრძანება „ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
7.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" №8 დადგენილება.;
8.შესაბამისობის გეგმა.
9. 2024 წლის 29 მაისის N458 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის განსაზღვრის შესახებ.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ გააჩნია ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, არ არის შემუშავებული სამოქმედო გეგმა, ხოლო წარმოდგენილი ბიუჯეტი წარმოადგენს გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საერთო ფინანსურ გეგმას, რის შედეგადაც არ იკვეთება ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი რესურსები. გარდა ამისა, ბიუჯეტში არ არის გაწერილი მიზნობრიობის და პერიოდულობის გათვალისწინებით დაგეგმილი ხარჯები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

შემუშავდეს ბიუჯეტი, სადაც დეტალურად აისახება თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გამოყოფილი რესურსები, ხარჯების მიზნობრიობა და განხორციელების პერიოდულობა. ბიუჯეტი უნდა უზრუნველყოფდეს სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას და უკავშირდებოდეს დაწესებულების დაგეგმილ საქმიანობას.

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავების მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი არის გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისთვის საერთო, რაც არ იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს კონკრეტულად რომელ სტრუქტურულ ერთეულს რა მოცულობის დაფინანსება აქვს გამოყოფილი. გარდა ამისა, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების მიზნობრიობა და პერიოდულობა. ასევე, დაწესებულებას არ აქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრული საჭიროებების აღრიცხვისა და შესაბამისად – ამ საჭიროებებზე დაფუძნებული სახსრების დახარჯვის **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მიხედვით გაწერილი ბიუჯეტის შემუშავება. ბიუჯეტი უნდა უზრუნველყოფდეს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს კურიკულუმით გათვალისწინებული გახარჯვისა და საჭიროებების სისტემატური აღრიცხვა, პასუხისმგებელი პირებისთვის მიმართვა და ბიუჯეტში გათვალისწინება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავების მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია გაერთიანების ბიუჯეტი და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია (მათ შორის ზესტაფონის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების მმართველის ანგარიშები, შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები), თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ზოგადია და არ იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების ფინანსური მონაცემები. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და მისი არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს ფინანსური რესურსების მართვის სისტემის შემუშავების მიზნით საჭირო აქტივობებს. შესრულების ვადებს (12 თვე), პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსს. აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით**. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბიუჯეტი;
2. გაერთიანების მმართველის ანგარიში;
3. შესყიდვის ხელშეკრულებები/მიღება-ჩაბარების აქტები.

| შეფასება: |
| --- |

| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

თარიღი 27/10/2025

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | სალომე აბდალაძე | ს. აბდალაძე |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

*კურიკულუმის ექსპერტი:* მარეხი ნიკოლაძე

*კვების დარგში ექსპერტი:* გიორგი ხუციშვილი

*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* მანანა ჭიჭინაძე

დანართი
№1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარა, ჭალატყე, N35 საბავშვო ბაღი | 1.25/06/2025, N751829 ბრძანება ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში ვიზიტის შესახებ;<br>2. 01/07/2025, N 795225 ბრძანება "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №751829 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა საქარის, ჭალატყე (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *2025 წლის 11-12 ივლისი* |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | | | | | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2.საკადასტრო გეგმა;<br>3. ა.ა(ი).პ ზესტაფონის მუნივიპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების "ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22 მაისის N300 ბრძანება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება;<br>5.შესაბამისობის გეგმა;<br>6.მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.<br>7.სქემა<br>8. |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მიზნით გამოიყენება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარაში, ჭალატყეში მდებარე 245.9 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა, რაც დასტურდება სქემის მიხედვით, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შენობა არის 191კვ.მ.(ექვემდებარება განახლებას)<br><br>დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს:<br>საჯარო რეესტრის ამონაწერი;<br>სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მიწერილობა;<br>შენობის სქემა. არ არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების დოკუმენტი. შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი პრობლემური გარემოება: საძინებელ ოთახში იატაკი დაწეულია და კედელთან გამონშორებულია, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია მიწის სტრუქტურული ცვლილებებით. არსებობს ვარაუდი, რომ შენობის ქვემოთ შესაძლოა მიედინებოდეს მდინარე, რაც ზრდის სტრუქტურული დაზიანების და შენობის სტაბილურობის რისკს. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | 1. მოხდეს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. 2. განახლდეს საჯარო რეესტრის მონაცემები – დოკუმენტური არათავსებადობის (სქემით 245.9 კვ.მ, რეესტრით 191 კვ.მ) გამო რეალური ფართობის შესაბამისად. | არსებული ვიზუალური დაზიანებებისა და სავარაუდო გეოგრაფიული ფაქტორების (მდინარე შენობის ქვეშ) გათვალისწინებით, ჩატარდეს გეოტექნიკური და ინჟინერ-გეოლოგიური კვლევა, რათა დადგინდეს საფუძვლიანი მიზეზები და სტაბილურობის რისკის დონე. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ამონაწერის განახლებასთან დაკავშირებით განსაზღვრა აქტივობები, შესრულების ვადა(12 თვე), პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება **იცვლება მეტწილი შესაბამისობით.** |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა-ნაგებობის მოწყობა არის ორსართულიანი; ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.3. | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
